

ასკილის /*Rosa canina* L./

გაშენების აგროტექნიკის თავისებურება და მისი სამკურნალო თვისებები

რ. რუხაძე – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,

ზ. გიორგაია – ეკოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ასკილის სახეობა, აგროტექნიკის თავისებურება, სამკურნალო თვისებები.

რეზიუმე:

წარმოდგენილია შესწავლილი სახეობის – ასკილის /*Rosa canina* L./ გაშენების აგროტექნიკის თავისებურებანი. აღწერილია მისი დენდროლოგიური, მეტყვეობითი და სამეურნეო თვისებები. მოცემულია მისი სამკურნალო თვისებები.

აღნიშნული სახეობა სინათლის მომთხოვნი მცენარეა, რის გამოც გავრცელებულია ღია ადგილებში. კავკასიაში ველურად გვხვდება მთის ქვედა და შუა სარტყელში – 1000–1200 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნილებას არ იჩენს. იგი ერსახლიანი და საკმაოდ პოლიმორფულია.

ასკილის გაშენების მიზნით სანერგისთვის შეირჩევა ნათელი ვაკე ადგილი. დასაშვებია მცირე სისქის დაქანების ფართობი, რომელზეც უმჯობესია ტერასების მოწყობა. შერჩეულ ადგილზე გრუნტის წყლები არ უნდა იყოს ნიადაგის ზედაპირთან ახლოს, ამასთან იყოს რწყვის საშუალება.

სანერგისათვის განკუთვნილ ადგილზე, პირველ რიგში აწყობენ ასკილის სათეს განყოფილებას. მისი ყვავილობის დროა ივნისი, ნაყოფის დამწიფებისა და შეგროვების დრო სექტემბერ–ოქტომბერია. თესლი ინარჩუნებს აღმოცენების უნარს 2 წელს. თესვის ნორმა 1.0გრძივ მეტრზე 3.0 გრამია, ხოლო ჰექტარზე 90კგ. ასკილის აღმონაცენს სჭირდება ზომიერ რწყვა, ნიადაგის გამარგვლა – გაფხვიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოექცეს ასკილის სანაყოფე პლანტაციებს, მისი კვების არე 6.0მ² ნაკლები არ უნდა იყოს. უკეთესია მისი სივრცობრივი განლაგება 3.0X3.0 მეტრზე.

აღნიშნული სახეობა ფართოდაა ცნობილი, როგორც მრავალი ვიტამინის (განსაკუთრებით C ვიტამინით) მდიდარი წყარო. აქედან გამომდინარე ფარმაცევტულ მრეწველობაში, ასკილი გამოიყენება, როგორც ნედლეული მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად.

ასკილის ნაყოფი წარმოადგენს ვიტამინების ბუნებრივ კონცენტრატს. ხალხურ მედიცინაში ასკილს იყენებენ სურავანდის, კუჭის, თირკმლების, ღვიძლის, ნაღვლის დაავადების დროს. თესლის ნახარშს სვამენ თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების შემთხვევაში. სამედიცინო პრაქტიკაში სახეობა გამოიყენება ავიტამინოზის დროს, აგრეთვე როგორც ნაღველმდენი საშუალება, ბოლო ხანებში იყენებენ სკლეროზის საწინააღმდეგოდ. ნაყოფში დიდი რაოდენობით არსებული ასკორბინ მჟავა ხელს უწყობს ქოლესტერინის რაოდენობის შემცირებას სისხლში. გამოიყენება ასევე ქოლესისტიტების, ჰეპატიტებისა და კუჭ–ნაწლავის დაავადებების დროსაც.

ასკილი /*Rosa canina* L./ სინათლის მომთხოვნი მერქნიანი მცენარეა, რის გამოც გავრცელებულია ღია ადგილებში. კავკასიაში ველურად გვხვდება ყველგან, მთის ქვედა და შუა სარტყელში – 1000–1200 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნილებას არ იჩენს. სახეობა 1–3 მეტრის სიმაღლის, გაბრტყელებული ოდნავ ნამგლისებრად მსხვილი ეკლებით. ეკლები სახეცვლილებას წარმოადგენს. ყლორტები მწვანე, ღერო კი მუქი ნაცრისფერი ქერქითაა დაფარული. კენტფრთხილი ფოთლები მორიგეობითაა გაწყობილი, წვრილი ელიფსური ფორმის წაწვეტილებული ფოთოლაკები ხერხებილია, მათი

რიცხვი ფოთოლში 5–7, იშვიათად ცხრაა. ფოთოლაკები შიშველია ან ცენტრალური ძარღვის გაყოლებაზე თხელბეწვიანი. ყვავილები მსხვილი, თითოეულია ან მრავალ ყვავილიან ფარისებრ ყვავილებშია შეკრებილი. გვირგვინი ნაყოფი კაკლუჭისებრია, ერთსახლიანი. ასკილი საკმაოდ პოლიმორფულია.

ასკილის გაშენების მიზნით სანერგისათვის შეირჩევა ნათელი ვაკე ადგილი დასაშვებია მცირე სისქის დაქანების ფართობი, რომელზეც უმჯობესია ტერასების მოწყობა. შერჩეულ ადგილზე გრუნტის წყლები არ უნდა იყოს ნიადაგის ზედაპირთან ახლოს, ამასთან იყოს რწყვის საშუალება.

სანერგისათვის განკუთვნილ ადგილზე, პირველ რიგში აწყობენ ასკილის სათეს განყოფილებას. აღნიშნული სახეობის ყვავილობის დროა ივნისი, ნაყოფის დამწიფების და შეგროვების დრო სექტემბერ–ოქტომბერია, თესლი ინარჩუნებს აღმონაცენის უნარს 2 წელს. თესვის ნორმა 1,0 გრძივ მეტრზე 3.0 გრამია, ხოლო ჰექტარზე 90კგ. თესვის წინ 30–40სმ სიღრმეზე შეაქვთ დამწვარი ნაკელი, ხის ნაცარი, ჩამქრალი კირი, კალიუმი და ფოსფორი. თესავენ კვლებზე მოზნევით ან მწკრივებში 15სმ–ის დაშორებით. ნათესს ზევიდან 2–3სმ სისქის ფენად ნიადაგი უნდა მიეყაროს, კარგად გასწორდეს, მოიტკეპნოს და მოირწყოს.

ასკილის აღმონაცენს სჭირდება ზომიერი რწყვა, ნიადაგის გამარგვლა–გაფხვიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასკილის სანაყოფე პლანტაციებს. მათთვის ნიადაგის მზადდება როგორც ხელით, ისე სპეციალური მანქანების საშუალებებით და მისი სიღრმე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40სმ, კვების არე 6.0მ² ნაკლები არ უნდა იყოს. უკეთესია მის სივრცობრივი განლაგება 3.0x3.0მეტრზე.

აღნიშნული მერქნიანი მცენარის სახეობა ფართოდაა ცნობილი, როგორც მრგვალი ვიტამინის (განსაკუთრებით C ვიტამინის) მდიდარი წყარო. აქედან გამომდინარე ფარმაცევტულ მრეწველობაში ასკილი გამოიყენება, როგორც ნედლეული მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად.

ასკილის ნაყოფი წარმოადგენს ვიტამინების ბუნებრივ კონცენტრატს. ხალხურ მედიცინაში ასკილს იყენებენ სურავანდის, კუჭის, თირკმლების, ღვიძლის, ნაღველის დაავადებების დროს. თესლის ნახარშს სვამენ თირკმლებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების შემთხვევაში. სამედიცინო პრაქტიკაში ასკილი გამოიყენება ავიტამინოზის დროს, აგრეთვე როგორც ნაღველმდენი საშუალება, ბოლო ხანებში იყენებენ სკლეროზის საწინააღმდეგოდ. ნაყოფში დიდი რაოდენობით არსებული ასკორბინის მჟავა ხელს უწყობს ქოლესტერინის რაოდენობის შემცირებას სისხლში. ასკილი ასევე გამოიყენება ქოლესტისტიტების, ჰეპატიტების და კუჭნაწლავის დაავადებების დროსაც. მისი ფესვების ნახარში გამოიყენება შარდის ბუშტის ანთების შემთხვევაში, ის მადის მომგვრელი და კარგი შემკვრელი საშუალებაა კუჭნაწლავის აშლილობის დროს. ასკილის ნაყოფი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა სამკურნალო მცენარესთან ერთად ნაკრებში ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა – სისხლნაკლებობა, სხვადასხვა სახის სისხლდენა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის გაშენებას, მოვლას და პატრონობას, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სახეობა ნიადაგის მიმართ არ არის მომთხოვნი, რის გამოც პარალელურად საშუალება იქნება ჩვენი ქვეყნის მცირე სისქის, ხირხატიანი ნიადაგების ეროზიისაგან დაცვისთვის.

ლიტერატურა:

1. ვ. გულისაშვილი – ზოგადი მეტყვეობა, 1957.
2. ი. აბაშიძე – დენდროლოგია (ნაწილი მეორე), 1962.
3. თ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, რ. რუხაძე – ტყის კულტურები, 2008.
4. В.В. Огиевский – Лесные культуры и мелиорация, М., 1974.
5. Г.И. Редько, А.Р. Родин, И.В. Трещевский – Лесные, Культуры, М. 1980.
6. А.Ф. Гаммерман – Курс фармакогнозии, М., 1967.
7. А.К. Умкин, А.Ф. Гаммерман, В.А. Невский – Библиография по лекарственным растениям, М., 1957.
8. М.Д. Машковский – Лекарственные средства, М., 1964.

Peculiarities of Cultivation of Agro techniques of Dog –Rose / *Rosa canina* L./ and its Medical Properties

R. Rukhadze – Academic doctor of Agriculture,

Z.Giorgaia – Academic doctor of Ecology

Key words: Dog-Rose species, peculiarities of agro techniques; its medical properties.

Abstract

Here are presented the peculiarities of the cultivation of agro techniques of the studied species –the Dog-Rose /*Rosa canina* L./ We have described its dendrological, verbal and economic properties, its medical properties are also given.

This is a light demanding plant and this is the reason it is spread in open areas. In the Caucasus it is found in the lower and middle belt of the mountain- at 1000-1200m above the seal level. It has not much demand for soil. It is homogeneous and quite polymorphic.

For the purpose of cultivating the Dog-Rose, a clear field place must be selected. The area of a slight slope is permitted on which the arrangement of terraces is advisable. The ground water on the selected area should not be in the vicinity of the soil surface, but watering should be possible.

On the planting place, first of all, the seedlings are made available. Its blooming period is June, the ripping and fruit collecting period is in September-October. The seed retains the ability to grow for 2 years. The norm of sowing is 3.0 gr on 1 meter, as for 90 kg Dog-Rose fruit grown on a hectare need moderate watering, weeding and soil cultivation. Special attention should be paid to fruitful plantations and its feeding area should not be less than 6.0m². Its spatial layout at 3.0X3.0 meter is advisable.

This species is widely known as a rich source of vitamins (especially C vitamin). Therefore in the pharmaceutical industry it is used as a raw material for medical substances.

The fruit of the Dog-Rose is the natural concentration of vitamins. In folk medicine it is used for the treatment of scurvy, stomach, kidney, liver, gallbladder diseases. Its tincture is used for kidney and bladder pebble diseases. As for the medical practice, it is used during avitaminosis, as a choleric remedy, and in recent years it is used against sclerosis. A large amount of ascorbit acid in the fruit promotes the reduction of cholesterol in the blood. It is also used during cholecystitis, hepatitis and gastrointestinal diseases.